11/09/2024

MES 0 24 0001100386

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 27 აგვისტოს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Aug 27, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/82635229286?pwd=Wp2HZbf6nbqRgIoAszImbhbZDNhulf.1
Meeting ID: 826 3522 9286
Passcode: 587808

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
კონსტანტინე დოლიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მაია დათიშვილი - დირექტორის მოადგილე
ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
ია სარაჯიშვილი - სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი
თეო ხატიაშვილი - ფინანსური მენეჯერი
მარიამ იმერლიშვილი - ბიბლიოთეკარი
ლევან შავაძე - პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ განმახორციელებელი პირი
ლეილა ბაზერაშვილი - პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ განმახორციელებელი პირი
შორენა ოსეფაშვილი - პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ განმახორციელებელი პირი
ილია კუნჭულია - პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ განმახორციელებელი პირი
გიორგი ზირაქიშვილი - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე სუბიექტი

ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
ელენე შატბერაშვილი - პროფესიული მომზადების პროგრამის „თხილის ბიოწარმოება“ ხელმძღვანელი

შპს თეგეტა აკადემია

ოთარ სიხარულიძე - დირექტორი
გიორგი ცინარიძე - დირექტორის მოადგილე
ნინო ერისთავი - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
თამარ ახალაძე
მზია ბერუაშვილი
ირმა ღარიბაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /02020/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას „თხილის ბიოწარმოება“ /01940/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი“ /02035/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი“ /02036/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორი“ /02037/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორი“ /02038/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს თეგეტა აკადემიის „ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“ /02039/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს თეგეტა აკადემიის „ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“ /02040/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /02020/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 28 ივნისის №765140 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 1 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟში“ (ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1), სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,სასოფლო - სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის

ხანგრძლივობა - 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1.
პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელ. სისტემაში წარმოდგენილი დოკუმენტით.
პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, გამოცდილება - სოფლის მეურნეობის მიმართულებით (არანაკლებ ერთი წელი).
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 კვირას, სულ 92 საათი. სასწავლო პროცესი წარიმართება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით სასწავლო აუდიტორიაში (თეორიული და პრაქტიკული - 72 საათი). რეალურ გარემოში - პარტნიორის ბაზაზე (პრაქტიკული-20 საათი).
სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 4 პარტნიორთან - ი/მ ნ. გ., სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს შუხმან ვაინს ჯორჯია და შპს ,,დორანი“.
კოლეჯ ,,პრესტიჟს“ 2020 წლის 1 დეკემბრის N0104/16 დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟის“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მეცხრე მუხლში გაწერილია მსმენელთა შეფასების წესი. მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების მიზნით გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. გაწერილია სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების და შეფასების შედეგების გასაჩივრების შესახებ.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს ოთხი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმე და შედგა განმახორციელებლებთან გასაუბრება. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ კოლეჯის მიერ შერჩეულ პირებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ დარგში და შესაბამისად უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო გარემო უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას 15 მსმენელისათვის ჯგუფში. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.
დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“, თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ კონკურენტუნარიანია კახეთში და მას აქვს განვითარების დიდი პოტენციალი. კოლეჯი, ძირითადად, ორიენტირებულია: თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, პიროვნების ,,მთელი სიცოცხლის მანძილზე'' განათლების მიღების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

კოლეჯი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.
კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, რაც დადასტურდა ვიზიტის დროს ელ. სისტემის დათვალიერებით.
კოლეჯი გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
სერტიფიკატის გაცემის საფუძველია მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურება.
2022 წლიდან დღემდე პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებზე გაცემულია - 177 სერტიფიკატი.
პრეზენტაციის დასასრულს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის, მან დასძინა, რომ კოლეჯს აქვს გამოცდილება მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ გაცემული სერტიფიკატების რაოდენობა, განაცხადა, რომ არ ჰქონდა კითხვები წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯ „პრესტიჟის“ „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /02020/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯ „პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა /02020/ **(დანართი 1).**

2. ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას „თხილის ბიოწარმოება“ /01940/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მზია ბერუაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 19 აგვისტოს №986114 ბრძანების მიხედვით, რომლის საფუძველი იყო პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 02 აგვისტოს № 936697 გადაწყვეტილება - ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ „თხილის ბიოწარმოება“ პროფესიული მომზადების პროგრამას, საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის სხდომაზე, განესაზღვრა ხარვეზის გამოსასწორებლად საბჭოს სხდომიდან ერთთვიანი ვადა. დაწესებულებამ 2024 წლის 05 აგვისტოს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) გამოასწორა ხარვეზი (1-ლი სტანდარტის ქვესტანდარტები: 1.4 და 1.7) შესწავლილ იქნა დარგის ექსპერტის მზია ბერუაშვილის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის სოფიკო ბექირაძის მიერ და დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული და გადმოგზავნილი პროგრამის პირველი სტანდარტის ყველა ქვესტანდარტი, მათ შორის ქვესტანდარტი 1.4 და 1.7 დაკმაყოფილებულია.

წინა ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.4. - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მხოლოდ საშუალო განათლება არ იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში - 7 კვირაში (63 საათი).

<u>**ხარვეზი გამოსწორებულია**</u>

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და სასწავლო დატვირთვა არ არის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატური და ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილ პროგრამაში გაზრდილია პროგრამის განხორციელების ვადები და საათობრივი დატვირთვა, მოიცავს 9 კვირას და 144 საათს (ნაცვლად 7 კვირისა და 63 საათისა), რის საფუძველზეც უკვე შეიძლება ითქვას, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და დაშვების არსებული წინაპირობებით - საშუალო განათლება - სწავლის შედეგების მიღწევა უკვე შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ვადაში.

<u>**ხარვეზი გამოსწორებულია**</u>

წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.2. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

პროგრამა „თხილის ბიოწარმოება“ აღწერაში ტექნიკური უზუსტობაა და ერთ-ერთ ფრაზაში მომზადების პროგრამის ნაცვლად მითითებულია „გადამზადების პროგრამა“ (თუმცა სხვა ყველა შემთხვევაში აღნიშნულია, რომ ეს არის მომზადების პროგრამა), რაც საჭიროებს შესწორებას. <u>**რეკომენდაცია გათვალისწინებულია**</u>

ქვესტანდარტი 1.6. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

პროგრამის მე-2 შედეგის მისაღწევად – „თხილის ბაღის მოვლა და ნიადაგის ნაყოფიერების მართვა ბიომეურნეობაში“), სასურველია გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა და მე-3 კვირის თემატიკაში მითითებულ ღონისძიებებს (ნიადაგის ტიპის განსაზღვრა, საკვები ელემენტების დეფიციტის დადგენა, საანალიზო ნიმუშის აღება) დაემატოს - ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები: ბიოკომპოსტის დამზადება და შეტანა, ბიომულჩის დაგება, მცენარეული სასუქების დამზადება, ბიოსასუქების შეტანა თხილის ბაღში და სხვ. ასევე, მე-3 შედეგში - „მცენარეთა დაცვა თხილის ბიომეურნეობაში, თხილის ძირითადი მავნებლები, დაავადებები და მათი კონტროლი ბიომეურნეობაში“ - მე-5 კვირის თემატიკაში, რომელიც C გარემოში ხორციელდება, თხილის მავნებელ-დაავადებათა იდენტიფიცირებასთან, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარებასა და ფერომონების დაკიდებასთან ერთად, საჭიროა, ბიოპესტიციდებისა და ბიოწარმოებაში დაშვებული მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების სამუშაო ნაზავების მომზადებისა და წესების დაცვით მათი სწორად გამოყენების პრაქტიკულად სწავლება თხილის ბიობაღში.

წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია გაცემული რეკომენდაციები: გაფართოებულია პრაქტიკულ მეცადინეობათა თემატიკა და თეორიულ მასალაში მითითებული ყველა საკითხი ასევე ასახულია და პრაქტიკულად განხორციელდება C გარემოშიც. კერძოდ, მე-5 კვირის თემატიკაში (შედეგი 2 – „თხილის ბაღის მოვლა და ნიადაგის ნაყოფიერების მართვა თხილის ბიომეურნეობაში“) დამატებულია და დაკონკრეტებულია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები: ბიოკომპოსტისა და მცენარეული სასუქების დამზადება), მე-7 კვირის თემატიკაში კი (შედეგი 3 – „მცენარეთა დაცვა თხილის ბიომეურნეობაში, თხილის ძირითადი მავნებლები, დაავადებები და მათი კონტროლი ბიომეურნეობაში“) C გარემოში თხილის მავნებელ-დაავადებათა იდენტიფიცირებასთან, სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარებასა და ფერომონების დაკიდებასთან ერთად გათვალისწინებულია ბიოპესტიციდებისა და ბიოწარმოებაში დაშვებული მცენარეთა დაცვის სხვა საშუალებების სამუშაო ნაზავების მომზადება და წესების დაცვით მათი სწორად გამოყენების პრაქტიკულად სწავლება თხილის ბაღში. <u>**რეკომენდაცია გათვალისწინებულია**</u>

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ორგანიზაციის წარმომადგენელს. ასოციაციის წარმომადგენელმა ელენე შატბერაშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და ცენტრის წარმომადგენელს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და დასძინა, რომ მნიშვნელოვანი იყო ამ გზის გავლა და განაცხადა, ასოციაცია მოხარულია, რომ მოიპოვეს უფლება ამ პროგრამის განხორციელებაზე, იმედოვნებენ, რომ პროგრამა წარმატებით განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას „თხილის ბიოწარმოება“ /01940/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანას (ს/კ: 201950898) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - თხილის ბიოწარმოება /01940/ **(დანართი 2).**

3. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი“ /02035/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი“ /02036/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორი“ /02037/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორი“ /02038/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს თეგეტა აკადემიის „ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“ /02039/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს თეგეტა აკადემიის „ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“ /02040/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

შპს თეგეტა აკადემიის პროგრამებთან დაკავშირებულისაკითხები საბჭოს სხდომაზე ერთიანად წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 23 ივლისის №894542, №894541, №894540, №894544, №894550 და №894543 ბრძანებების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ 2024 წლის 5, 6, და 7 აგვისტოს განახორციელეს ვიზიტი შპს თეგეტა აკადემიაში, მისამართზე, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების-/გადამზადების პროგრამების „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორის“, „ექსკავატორის ოპერატორის“ და „ჩანგლიანი დამტვირთელის ოპერატორის“ შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ,

<u>„ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორის“ პროფესიული მომზადების პროგრამა</u>

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება დაკორექტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს

ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის მეცხრე სწავლის შედეგი - “ფრონტალური დამტვირთველის მეშვეობით ტვირთის გადაადგილების სხვადასხვა ტიპის ოპერაციები” დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს ასეთი სახით - “ფრონტალური დამტვირთველის მეშვეობით ტვირთის გადაადგილების სხვადასხვა ტიპის ოპერაციების განხორციელება”.

<u>„ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორის“ პროფესიული გადამზადების პროგრამა</u>

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება დაკორექტირდეს, მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.

კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის მეექვსე სწავლის შედეგი - "ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები სატვირთო ოპერაციებში" დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს ასეთი სახით - "ეფექტური კომუნიკაციის მეთოდების განსაზღვრა სატვირთო ოპერაციებში".

„ექსკავატორის ოპერატორის" პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამა

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდება დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით „ექსკავატორის ოპერატორი (ერთციცხვიანი)", ვინაიდან ექსკავატორი არის სხვადასხვა სახის, შესაბამისად პროგრამის სახელწოდებაში უნდა აისახოს, რომ პროგრამა ეხება ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერირებას.

„ჩანგლიანი დამტვირთელის ოპერატორის" პროფესიული მომზადების პროგრამა

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.

კერძოდ წარმოდგენილი პროგრამის მეექვსე სწავლის შედეგი - "ჩანგლიანი დამტვირთველის მეშვეობით ტვირთის გადაადგილების სხვადასხვა ტიპის ოპერაციები" დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - "ჩანგლიანი დამტვირთველის მეშვეობით ტვირთის გადაადგილების სხვადასხვა ტიპის ოპერაციების განხორციელება".

„ჩანგლიანი დამტვირთელის ოპერატორის" პროფესიული გადამზადების პროგრამა

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

მიზანშეწონილია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტში (შემდგომში მეთოდოლოგიის დოკუმენტი) განსაზღვრული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ უნდა იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში. მიზანშეწონილია სწავლის შედეგებში დაკონკრეტდეს ცოდნის მასშტაბი, უნარების კომპლექსურობა და პასუხიმგებლობებისა და ავტონომიურობის ხარისხი.

კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის მეხუთე შედეგი - "ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები სატვირთო ოპერაციებში" დარედაქტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - "ეფექტური კომუნიკაციის მეთოდების განსაზღვრა სატვირთო ოპერაციებში".

ირმა ღარიბაშვილმა პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორის", „ექსკავატორის ოპერატორის" და „ჩანგლიანი დამტვირთელის ოპერატორის" პროფესიული მომზადების პროგრამების ხანგრძლივობა არის - 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 20-20, „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორის", „ექსკავატორის ოპერატორის" და „ჩანგლიანი დამტვირთელის ოპერატორის" პროფესიული გადამზადების პროგრამების ხანგრძლივობაა - 6 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა 20-20, წარმოდგენილი პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მე-3, პროგრამების განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129.

შემდეგ მან მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებთან მიმართებაში. პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამები უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაციით პროგრამის საჭიროების დასაბუთების შესახებ.

პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია: საბაზო განათლება, ასაკი - 17, 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: მოტივაციური გასაუბრება (ერთ პროგრამაზე რეგისტრირებულ) ყველა აპლიკანტთან ერთნაირი სქემით მიმდინარეობს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება. შეფასება ხორციელდება შეფასების ფორმის გამოყენებით. მოტივაცური გასაუბრება ტარდება აკადემიაში, ან სხვა ალტერნატიულ ფართში, პარტნიორებთან შეთანხმებით; აპლიკანტის შეფასება ხორციელდება ქულობრივი სისტემით. კონკურსის საფუძველზე, დადებით შეფასებად ითვლება თუ აპლიკანტი დააგროვებს საერთო ქულების რაოდენობის 25%-ს. დახურული რეგისტრაციის დროს სწავლის მსურველთა შერჩევას აწარმოებს ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების შესახებ.

პროფესიული გადამზადების პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია: დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

პროგრამების სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, მსმენელს აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც დაახლოებით პროგრამის მეტი წილი ეთმობა.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, დაწესებულებას გაწერილი აქვს მარეგულირებელ აქტში, თუ როგორ ხდება მსმენელების შფასება.

პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით.

პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულებას ფართზე გააჩნია ორი A გარემო და ერთი AC სასწავლო გარემო 20 მსმენელზე. სასწავლო გარემოებში მოწყობილია სამუშაო სივრცე, განთავსებულია დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კომპიუტერი პროგრამის განმახორციელებელი პირისთვის, სასწავლო პლაკატები და სხვა; AC სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია სიმულატორი, იძლევა შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს 20 მსმენელის მიღება. პროგრამის ბოლო 4 კვირის განმავლობაში პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება C გარემოში (რეალურ გარემოში).

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში,
აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, რაც დასტურდება ვებგვერდით - https://tegetaacademy.edu.ge/ka; დოკუმენტბრუნვის ელ. სისტემით Eflow; გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენელთან.
საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსერტს, მან ყურადღება გაამახვილა დარგის ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დასძინა, რომ სასურველია კომპანიამ სწავლის დაწყებამდე დაარედაქტიროს წარმოდგენილ პროგრამებში სწავლის შედეგები, წერილი წარმოადგინოს ცენტრში, ხოლო ემისი შესაბამისად შეიტანს ცვლილებას.
კომპანიის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და დასძინა, რომ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნებოდა კომპანიის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი“ /02035/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თეგეტა აკადემიას (ს/კ: 405237122) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი ქ. თბილისში **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი“ /02036/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თეგეტა აკადემიას (ს/კ: 405237122) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი /02036/ ქ. თბილისში **(დანართი 4).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიის „ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი“ /02037/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თეგეტა აკადემიას (ს/კ: 405237122) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი /02037/ ქ. ბათუმში **(დანართი 5).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიის „ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი“ /02038/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თეგეტა აკადემიას (ს/კ: 405237122) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი /02038/ ქ. თბილისში **(დანართი 6).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიის „ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“ /02039/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თეგეტა აკადემიას (ს/კ: 405237122) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი /02039/ ქ. თბილისში **(დანართი 7).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიის „ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“ /02040/ ქ. თბილისში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თეგეტა

აკადემიას (ს/კ: 405237122) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ჩანგლიანი დამტვირთელის ოპერატორი /02040/ ქ. თბილისში **(დანართი 8).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 13:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

ეროვნული ცენტრი
ზუსტი ასლია
ელექტრონული

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02020	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირირებული მართვა	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	10	ქართული	15	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01940	თხილის ბიოწარმოება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	9	ქართული	25	ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. №61

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02035	ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02036	ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული გადამზადება	მესამე	6	ქართული	20	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02037	ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	20	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02038	ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი	პროფესიული გადამზადება	მესამე	6	ქართული	20	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129

დანართი 7

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02039	ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	20	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129

დანართი 8

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02040	ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი	პროფესიული გადამზადება	მესამე	6	ქართული	20	ქ. თბილისი, დავით აღმაშეებლის ხეივანი №129